საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ივერი აბაშიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: თ. [illegible]

თარიღი: 19.07.2024.წ.

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ივერი აბაშიძის შეფასება.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 2 ივლისის №1/53 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ივერი აბაშიძე.**

საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34²-ე მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვებულ ინფორმაციას კანდიდატის შესახებ გავეცანი დეტალურად.

ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 17 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შეფასდა - კანონის 35¹ე მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი გახლავთ 47 წლის. უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრი (ივ.ჯავახიშვილის ბათუმის სამართლის ინსტიტუტი 2000 წ.)
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 19 წელი
მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: **6 წელი და 6 თვე**
მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების თარიღი: **2018 წლის 18 იანვარი**

2005-2009 წლებში კანდიდატი იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე,

2009-2010 წლებში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის უფროსი საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი.

2010 წლის 1 ოქტომბერს დაინიშნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მენეჯერად.
2011- 2018 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მენეჯერი - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი.
2018 წ იანვრიდან გახლავთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, ინფორმაციები მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით, მისი უვადო მოსამართლედ განწესების თაობაზე. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ივერი აბაშიძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

ივერი აბაშიძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გაითვალისწინებული სამართალდარღვევის 13 ფაქტი. დაკისრებული სანქციები გადახდილია დროულად

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატი ივერი აბაშიძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე მოძიებულ იქნა ინფორმაცია: 1 (ერთი) დაარქივებული სამოქალაქო კატეგორიის საქმე (უზრუნველყოფა სარჩელის აღძვრამდე), სადაც მხარეს წარმოადგენს ივერი აბაშიძე, კერძოდ:
მოსარჩელე: ივერი აბაშიძე
დავის საგანი: უზრუნველყოფა სარჩელის აღძვრამდე, ბათუმის საქალაქო სასამართლო
შედეგი:ბათუმის საქალაქო სასამართლოს 31.12.2021წ. განჩინებით განცხადება დაკმაყოფილებულია.
კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.
ივერი აბაშიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 93%; ვადის დაცვით. გადაწყვეტილების მომზადების ვადებიც დაცული აქვს 100%.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 83,2%; შეცვლილი 16,8% საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს 959 დღეში დასრულებული აქვს 249 საქმე (დღეში საშუალოდ 0,3 საქმე).

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ 2 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება რომლებიც კარგად დასაბუთებულია.

კანდიდატი ხშირად მონაწილეობდა სასწავლო ღონისძიებებში:

15 და 16 ივნისი, კახეთი (წინანდალი), საქპატენტისა და ევროკავშირი საქართველოსთვის ორგანიზებით გამართული ფორუმი - „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ“.

26 ივნისი, თბილისი, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის მხარდაჭერით გამართული სემინარი - „მედიაცია“.

4-5 დეკემბერი, ბორჯომი (სასტუმრო „Crowne Plaza“), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ პროექტთან „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PRPLoG) თანამშრომლობით გამართული სემინარი - „მედიაცია“.

11-13 თებერვალი, ლიკანი (სასტუმრო ბორჯომი ლიკანი), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გამართული საპილოტე ტრენინგი - გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია.

30 - 31 ივლისი, ბათუმი, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სემინარი - „ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის საკითხები“.

1-3 დეკემბერი, თბილისი, „ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნაროობის პრაქტიკოსთა ასოციაციის“ (BRIPA) მიერ გადახდისსუნაროობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ახალი გადახდისუუნაროობის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამართული სამუშაო შეხვედრა.

11-12 დეკემბერი, ყვარელი, USAID ეკონომიკური მმართველობის პროგრამისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამართული შეხვედრა - „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული შერჩეული თემების განხილვა“.

31 მარტი 2 აპრილი, ახალციხე (სასტუმრო „რაბათი ჯინო ველნესი“), ევროპის საბჭოს ოფისთან (CoE) თანამშრომლობით ევროპის სოციალურ ქარტიასთან დაკავშირებით მოსამართლეებისათვის დაგეგმილი სემინარი.

28-30 ივნისი, კომპლექსი ლოპოტა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა.

14-16 ივლისი, კახეთი (სასტუმრო „ლოპოტას ტბა“), საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის“ (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ს კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები“.

6-8 დეკემბერი, წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა.
უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:
კანდიდატი ფლობს რუსულ ენას

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით (2012 წლის 5 მაისი)

ივერი აბაშიძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-13 ჯგუფის მსმენელი.ჯგუფში დაიკავა მეექვსე ადგილი; საერთო საკვალიფიკაციო სიაში - 94-ე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ 2019 წლის 5 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრად.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ 2022 წლის 23 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრად.

კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

საჯარო მოსმენაზე საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს როგორც სამართლებრივი შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები.

საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული და დასაბუთებული. თუმცა, ხარვეზული იყო გარკვეულ სმართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატის მიერ დაფიქსირებული პასუხები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე დროულად არის გადახდილი.) კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი. იგი გამოირჩევა პრინციპულობით, მედეგობით, სამართლიანობით, მიუკერძოებელობით, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კორექტული და თავდაჭერილია.

საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ 5-ვე მახასიათებელს: ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა", გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა", დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია" და ე) „ფინანსური ვალდებულება" **კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

1.კანდიდატის საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, კარგად იცნობს კანონმდებლობას, როგორც მატერიალურ ასევე პროცესუალურ ნორმებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.
შესაბამისად ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლის მიხედვით, კანდიდატი შეფასდა 18 ქულით.**

2. კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისათვის ვიხელმძღვანელე როგორც მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით, ასევე საჯარო მოსმენისას წარმოჩენილი ცოდნით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. დასაბუთებისას, მოსამართლე ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, უსადაგებს კანონის შესაბამის ნორმას და უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. ის, ძირითადად, დამაჯერებლად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას აზრთა სხვადასხვაობისა თუ თანხვედრობის შემთხვევაში. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სამართლებრივ საკითხებზე. გარკვეულ სმართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 17 ქულით.**

3. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ მას გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობის უნარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **წერის უნარის მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 18 ქულით.**

4. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ის გამართულად მეტყველებს. დასმულ საკითხთან დაკავშირებით აზრს გადმოსცემს დამაჯერებლად, ნათლად და გასაგებად. საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოებებ'ხე. ასევე შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. აღნიშნულიდან გამომდინარე კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 15 ქულით.**

5. კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული, თავდაჭერილი, სასამართლო სხდომას უძღვება სათანადოდ, კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი, არის პრინციპული, მედეგი, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის

წესებს. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 14 ქულით.**

6. კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს პროფესსიული წვრთნის კუთხით არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რაც მიზნად ისახავს კვალიფიკაციის ამაღლებას და ცოდნის გაღრმავებას. შესაბამისად კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 5 ქულით.**

7. კანდიდატი არ ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას, ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ შეხვედრებსა და სემინარებში. შესაბამისად ორგანული კანონი 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **პროფესიული აქტივობის მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 4 ქულით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ - **ივერი აბაშიძის** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **91 ქულას.**

1. სამართლის ნორმების ცოდნა - **18 ქულა**
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის -17 **ქულა**
3. წერის უნარი -18 **ქულა**
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 **ქულა**
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - **14 ქულა**
6. აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის - **5 ქულა**
7. პროფესიული აქტივობა - **4 ქულა**

ქულათა ჯამი 91 ქულა

თარიღი: 19.07.2024 წ.

ხელმოწერა: